ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, მოიპოვებს თავისუფლებას!

# დემოკრატი

№3
მარტი
1990წ.

გაზეთი გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე
1989 წლის გიორგობისთვის 30-დან

საქართველოს დემოკრატიული პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

## აქტიური ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებს!

## აქცია დაიწყო!..

მიმდინარე წლის 23 თებერვალს ქ. თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, მას შემდეგ, რაც მამა ელიზბარმა, საქართველოს დემოკრატიული პარტიის თხოვნით გადაიხადა კოჯრის მიდამოებში, ბოლშევიკ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მამულიშვილთა პარაკლისი, სდპ-ს ინიციატივით დაიწყო სამთვიანი საპროტესტო აქცია, რომლის ძირითადი მიზანი გახლავთ, არსებული უკანონო, მარიონეტული ხელისუფლების დეზავუირება იურიდიული დაუმორჩილებლობის გზით.



მიტინგზე სიტყვით გამომსვლელებმა; საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა: ვაჟა მთავრიშვილმა, თენგიზ შარმანაშვილმა, ვახტანგ ტალახაძემ, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა, საქართველოს მოსახლეობას მოუწოდეს უარი თქვან საბჭოთა იმპერიის მოქალაქეობაზე და ბოიკოტი გამოუცხადონ საბჭოთა არჩევნებს საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. სსრკ-ს მოქალაქეობის უარყოფითა და საბჭოთა არჩევნების ბოიკოტით, ქართველი ერი "დე ფაქტოდ" და "დე იურედ" გააუქმებს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და პარალელურად, სდპ-ს მიერ შემუშავებული შესაბამისი დოკუმენტების /ფორმა № I და ფორმა № 2/ შევსების საფუძველზე, ამ ეტაპზე, საქართველოს დეკოლონიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის სახით აირჩევს საქართველოს ჭეშმარიტად ეროვნულ, კანონიერ უმაღლეს ორგანოს, წინაშე წარსდგება, როგორც იურიდიული პირი და უფლებამოსილი იქნება ილაპარაკოს ქართველი ერის სახელით.

23 თებერვალს სსრკ-ს მოქალაქეობა უარყო 2 ათასამდე პატრიოტმა.

## აქცია გრძელდება!..

საქართველოს მოსახლეობამ სწორად შეაფასა 23 თებერვალს დაწყებული აქციის სამართლებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა და აქტიურად ჩაერთო მისი პრაქტიკული განხორციელების საქმეში. დღეისათვის სსრკ მოქალაქეობაზე უარი განაცხადა 30 ათასზე მეტმა პატრიოტმა.

იმპერიალისტური ძალების მცდელობამ, სსრკ პრეზიდენტის პოსტის დამტკიცებით, იურიდიულად სამართლებრივი სახე მიეცა იმპერიის, როგორც აგრესორის ქმედებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე და მისი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის სხვა დაკავალებულ რესპუბლიკებშიც -კიდევ ერთხელ დაგვანახა სოციალისტური "გარდაქმნის" იმპერიული სახე. ერის ხსნა იურიდიულ დაუმორჩილებლობაშია.



ფრაგმენტები: ა. წ. 23 თებერვლის აქცია. ხელმოწერები გრძელდება.
გ. ფანჩულიძისა და გ. ჭრუმბევაშვილის ფოტოები.

სიენგიზ შარმანაშვილი

# საქართველო იმპერიის მესამე სახელების პარიბჭესთან

მეოცე საუკუნე იმპერიების მსხვრევისა და დემონტაჟის ხანაა. თავისუფლება მოიპოვა აზიამ და აფრიკამ, ნამიბია მარტში გამოაცხადებს თავისუფლების დეკლარაციას, ჩაუშესკუს რეჟიმი დაემხო. მთელს აღმოსავლეთ ევროპაში თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება მოვლენები; გერმანია გაერთიანების პირასაა მისული; სულს ღაფავს მსოფლიოში ყველაზე საზარელი -რუსულ-ბოლშევიკური იმპერია. ამ ტოტალურ ცვლილებებისა და ნგრევის პერიოდში ყველას, და უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებს, დიდი შორსმჭვრეტელობა და პასუხისმგებლობა მართებთ.

დღეს ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია, მათ შორის ჩვენიც, ძირითადად ბოლშევიკურ -საბჭოური მანქანის დაშლის გზების ძიებით არის დაკავებული. ყველა ჩვენს უბედურებას სამართლიანად ვაბრალებთ კომუნისტური მესიანიზმის იდეების დამკვიდრებასა და ბოლშევიკურ აგრესიულობას. მე-20 საუკუნის წითელ ჭირს წარმატებით რომ ვებრძოლოთ, პირველყოვლისა, უნდა გავაანალიზოთ, თუ რამ განაპირობა ბოლშევიკური იდეის პოპულარობა რუსეთში. ამ პრობლემის დაწვრილებითი მიმოხილვა ძნელია საგაზეთო სტატიაში, მაგრამ შევეცდები თეზისების სახით მაინც ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი. იმპერიაში ყველა პროცესი გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მთელს მსოფლიოში. ფეოდალიზმი მანიფესტით გააუქმეს 1861 წელს. ამ პერიოდში ევროპაში დიდი აღმავლობით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა; მკვიდრდებოდა თავისუფალი ბაზარი; ინგლისმა ყველაზე უკეთ ააწყო თავისი ეკონომიკის საქმეები და გასაღების ბაზრის ინტენსიურ ძიებაში შექმნა უდიდესი იმპერია, " რომელშიც მზე არასოდეს ჩადიოდა".

რასაკვირველია ასეთ პირობებში "მესამე რომის იმპერიას" ფუნქციები ეკარგებოდა. ველიკორუსული შოვინისტური სული ვერასოდეს შეეგუებოდა იმას, რომ მისი იმპერიის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ ყოფილიყო, მაგრამ არსებულ ვითარებაში თვითმპყრობელობის მექანიზმი აღარ გამოდგებოდა; ვერც რომანოვები მოახერხებდნენ "ნეილონის ხანის" სტრუქტურაში რუსული შოვინისტური იდეების განხორციელებას. სწორედ ამით და არა "დიდი იდეებით" უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის უამრავი ტერორისტული თავდასხმა რუს მონარქებზე. ტერორისტები მონარქის მოკვლით გულუბრყვილოდ იმედოვნებდნენ, რომ უფრო მოქნილი იმპერიული სტრუქტურა შეიქმნებოდა. რუსეთი იდეას ეძებდა, ისეთ იდეას, რომელიც მის შოვინისტურ მისწრაფებებს განახორციელებდა.

როდესაც ევროპაში მოხეტიალე "კომუნიზმის აჩრდილი" რუსეთშიც შემოეხეტა, რუსმა ნეოიმპერიალისტებმა შვებით ამოისუნთქეს — აი, გადარჩენის გზა! შესძახეს მათ და სწრაფი ტემპით დაიწყეს მარქსის იდეების ათვისება. "პროლეტარს სამშობლო არა აქვს", " პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით"— აი იდეები, რომლითაც შეიძლება რუსეთის "განაპირა რაიონებში" ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობების შეჩერება. არა მხოლოდ შეჩერება, არამედ... და კიდევ ერთი მარქსისტული დევიზი "მსოფლიო რევოლუცია". რაო? მსოფლიო რევოლუციაო? ეს ხომ ის არის, რაც ჩვენ გვინდა — და დაიწყო !.. რაც დრო გადიოდა რუსეთში მით უფრო ინტენსიურად ვრცელდებოდა მარქსიზმი.

თავს აღარ შეგაწყენთ რუსეთში მარქსიზმის "დამკვიდრების" პერიპეტიებით და პირდაპირ გადავალ 1917 წლის მოვლენებზე. თებერვალში ცარიზმი საბოლოოდ გაიხრწნა. მონარქი დაემხო და რუსეთი უკვე რეალური არჩევანის წინაშე დადგა. დაიწყო იმპერიის სწრაფი დემონტაჟი. პოლონეთს, ბალტიისპირეთს, ფინეთს და სხვა ქვეყნებს გაუჩნდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების რეალური შანსი. რუსეთის იმპერიის ცენტრს ნებას"ძლიერი ხელი" სჭირდებოდა, დროებითი მთავრობა კი ამ საქმისათვის არ გამოდგებოდა. იყო ქაოსი; მიმდინარეობა პირველი მსოფლიო ომი და საჭირო იყო ძალა, რომელიც დასაღუპად განწირულ "დიდ რუსეთს" გადაარჩენდა. კითხვაზე - არის პარტია, რომელიც ძალაუფლებას აიღებს ხელში? - არის!- შესძახა ლენინმა -ეს არის პარტია ბოლშევიკებისა - -და როგორც ერთ კინოფილმშია, პარტიის სამაგრებს თითები გამოჰკრა. კარგი იქნებოდა ლენინი პარტიის სამაგრთან თამაშით რომ დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ მას ზურგს უკან ედგა ბოლშევიკების პარტია - -ყველაზე უფრო აგრესიული — იმპერიალისტური ძალა და რომლის ლიდერული ხელმძღვანელიც თავად ლენინი გახლდათ.

იმპერია ინგრეოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და ბოლშევიკებმა სწრაფად მოახდინეს ოქტომბრის პუტჩი და ხელისუფლებას ერთპიროვნულად დაეპატრონენ. მათ სურდათ დაემტკიცებინათ, რომ შოვინიზმს მათი სახით ღირსეული დამცველი ჰყავდა.

"Мтавробадзе умер"-.ასეთი სახის დეპეშა მიიღეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 1917 წლის 25 ოქტომბრის ამბების შემდეგ. 1918 წლის 26 მაისს ქართველმა ვარდისფერმა მარქსისტებმა/გამოთქმა გ. ჭანტურიასია/ უკანასკნელად მისძახეს [redacted] - - Вы губите русскую революцию და ბედს შეურიგდნენ. მათ თავისი პირადი ზრახვები საქართველოს ჩარჩოებში მოაქციეს. ასე იყო თუ ისე, საქართველომ დაიბრუნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამავე პერიოდში დამოუკიდებლობა გამოცხადდა სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ბოლშევიკებს დიდი გადაცდის დრო დაუდგათ. მსოფლიო ომიდან მნიშვნელოვანი დანაკარგებით დააღწიეს თავი, მაგრამ ლენინი, არც თუ უსაფუძვლოდ, ვარაუდობდა, რომ ეს დროებითი უკანდახევა იყო. როგორც კი ბოლშევიკებმა ცოტა ამოისუნთქეს, მათ მაშინვე მოახდინეს კავკასიის ოკუპაცია, ხელმეორედ დაიმორჩილეს შუა აზიაც და ამით პირველ ეტაპზე გაამართლეს კიდეც რუსი შოვინისტების იმედები. მათი ნდობა შეიძლებოდა. ეს სწორედ ის ძალა იყო, რომელსაც ამდენი ხანი ეძებდნენ.

გავიდა დრო, რუსეთის ტახტზე ახალი " ვარსკვლავი " ამოდიოდა- -სტალინი. მას კარგად ესმოდა, თუ რა მისია ეკისრებოდათ ბოლშევიკებს რუსეთში და დაიწყო ტოტალური ტიპის ქვეყნის ჩამოყალიბება. პირველ ეტაპს მეორე, უფრო შთამბეჭდავი ეტაპი უნდა მოჰყოლოდა. სტალინი მართლაც განუმეორებელი ფიგურა იყო რუსეთის ისტორიაში. მან შექმნა ახნახული სიძლიერისა და დისციპლინის სახელმწიფო მანქანა, რომელმაც დიდ გამოცდას გაუძლო. მისი გამომწვევი კი უჩვეულო სიძლიერის გერმანული მესიანიზმი იყო წითელი დრაკონი დასავლეთისაკენ დაიძრა; ჯერ ბალტიისპირეთი და დასავლეთ უკრაინა ჩაიგდო ხელში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მთელი აღმოსავლეთ ევროპა. სლავური წარმოშობის ყველა ერი რუსეთის მარწუხებში მოექცა (გაიხსენეთ რუსების ერთ-ერთი უსაყვარლესი საკუთარი სახელი "Владислав"). ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო!

რაც შეეხება სტალინს, სტალინი, იმპერატორული ამბიციებით შეპყრობილი ადამიანი იყო, იმპერიული ამბიციების მატარებელი იყო ის ქვეყანაც რომელშიც ის მეფობდა და აქ აზრთა სრულ თანხვედრასთან გვაქვს საქმე. ამიტომაც გაძლო, მან ასეთი დიდი ხნის განმავლობაში ისე, რომ მას არც ერთხელაც არ ძეახსენეს თავისი არარუსული წარმოშობა. აქედან გამომდინარე სისულელეა სტალინის ფენომენი რუსეთის შოვინისტურ- იმპერიალისტური მისწრაფებების მიღმა განვიხილოთ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ მოხდა ხელისუფლების გარკვეული ლიბერალიზაცია. რუსეთის ტახტზე იცვლებოდნენ ხელმძღვანელები. იმპერიის "მეგობრებად" გამოცხადდნენ: კუბა, ვიეტნამი, ლაოსი, ანგოლა...რუსეთმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო სერიოზული ნაბიჯი გადაედგა ინდოეთის ოკეანისაკენ /ეს "ვლადისლავიდან" "ვლადიმირზე" გადასვლის ტაქტიკით იყო ნაკარნახევი/.

ავღანეთის ომმა იმპერიას დაანახა თავისი სუსტი მხარეები. საჭირო გახდა მის სტრუქტურაში ძირეული ცვლილებების განხორციელება. რუსეთში დაიწყო ახალი ტიპის

/გაგრძელება მე-4 გვერდზე/

ეროვნული

# შტრიხები ლენინის სტანდარტული პორტრეტისათვის

დავით მჭედლიძე

ლენინზე ბევრია დაწერილი, განსაკუთრებით 1970 წელს, მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. მაშინდელ მსოფლიოს ზვავივით დაატყდა ახალი ტალღა "ლენინიანასი". წინა თაობები და ნაწილობრივ ჩვენიც ამ წიგნებით იზრდებოდნენ. ბოლშევიკური იდეოლოგიური შტურმებით ყალიბდებოდა ჩვენი შეხედულებები კომუნისტურ პარტიაზე და ამ პარტიის ბელადებზე. "პერესტროიკის" პერიოდში ბევრი ბოლშევიკი "მოითხარა", როგორც ახალი, ისე ძველი; დაწყებული სტალინით — დამთავრებული სუსლოვით. პრესაშიც აქა იქ გაკვრით იქნა "მითითებული" და "აღნიშნული" ლენინის ზოგიერთი მოძველებული თეორია, თანაც ისე, თითქოს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ლენინი უნდა მიგვაჩნდეს ორთოდოქსალური მარქსიზმის იდეების ცხოვრებაში გამტარებლად და რომ ზოგიერთი თეორიული "ლაფსუსების" მიუხედავად, მისი ნამუშევრების მეცნიერული ჭეშმარიტება ეჭვსგარეშეა.

კომუნისტ დემაგოგებს ისიც უდავოდ მიაჩნიათ, რომ იმას, რაც ხდებოდა სამოქალაქო ომის პერიოდში და შემდგომ, 20-იან 30-იან წლებში, არავითარი კავშირი არა აქვს ლენინის პიროვნებასთან. რა თქმა უნდა, "პერესტროიკის" იდეოლოგები ამ საკითხზე არა თუ ობიექტურად მსჯელობას, არამედ საკითხის დასმასაც კი ყოველნაირად თავს არიდებენ და ყოველ საარქივო დოკუმენტს, რომელიც ლენინის პიროვნებას მათთვის არასასურველ კუთხით წარმოაჩენს, ცდილობენ ტაბუ დაადონ, რაც დღემდე წარმატებით ხორციელდება.

ვინაიდან, დასავლეთის ქვეყნებში ლენინის პიროვნების ირგვლივ დიდი ხნის წინათ დაწყებულმა პოლემიკამ "ჩვენშიც" შემოაღწია, ოფიციოზი იძულებულია, რომ ხანდახან, საკავშირო პრესაშიც "შეაპაროს" ლენინის მაკომპრომეტირებელი ესა თუ ის დოკუმენტი ან მოსაზრება.

ლენინის შესახებ დაწერილი უამრავი ლიტერატურიდან და საარქივო დოკუმენტებიდან ჩვენს მიერ მოპოვებული მცირეოდენი მასალიდან, რომელსაც ჩვენ ქვემოთ შემოგვთავაზებთ, კიდევ უფრო ნათელი და გასაგები გახდება ის "ალვირახსნილი" კამპანია, რომელსაც ეროვნული მოძრაობა ეწევა კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის, ლენინის მიმართ, და საერთოდ მარქსისტული იდეოლოგიის მიმართ.

ეჭვს გარეშეა ამ პიროვნების დიდი პოლიტიკური სიბრძნე, და მისი მართლაცდა შეუდარებელი ენერგია, რომელიც თითქოსდა არც ეტეოდა მის ორგანიზმში.

რა უნდოდა, რატომ მოვიდა ლენინი "რევოლუციაში"? ვითომც და იმიტომ, რომ ეშენებინა ახალი ბედნიერი საზოგადოება, რომელსა მარქსი "კომუნიზმს" უწოდებდა?

ამერიკელი სოვეტოლოგის ლ. ფიშერის წიგნში "ლენინის ცხოვრება" დაახლოებით ასეთი სურათი იკვეთება:

როგორც ვიცით, ლენინს ჰყავდა უფროსი ძმა ალექსანდრე; ტერორისტი, რომელიც ნიკოლოზ პირველის მკვლელობაში იღებდა მონაწილეობას სწორედ ალექსანდრეს "დამსახურების" წყალობაა ის, რომ ახალგაზრდა ულიანოვს ყველა გზა დაეკეტა თავისი ენერგიისა და ნიჭის გამოსავლენად. მას თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის ერთად - ერთი არიალი შემორჩა, გიმნაზია, სადაც ის მართლაც რომ პირველი იყო პირველთა შორის სწავლაში. ლენინი პირველობას ესწრაფოდა და ამიტომაც სწავლობდა, რომ ამ გზით მაინც დაეკმაყოფილებინა თავისი პატივმოყვარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ 1887 წელს უნივერსიტეტის ინსპექტორის წინააღმდეგ მიმართულ სტუდენტთა დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც გარიცხული იქნა უნივერსიტეტიდან, ლენინი მაინც არ ყოფილა გატაცებული პოლიტიკით, მით უმეტეს რევოლუციით. მან 1888 წელს, თავისი ძმის ჩამოხრჩობის წლისთავის მეორე დღესვე სთხოვა უნივერსიტეტის რექტორატს აღედგინათ იგი სასწავლებელში. რექტორატმა მას უარი უთხრა. ჩვენ კი გვიმტკიცებენ, რომ ულიანოვმა 14 წლიდან დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობაო. ამიტომაც შედიან ჩვენთან კომკავშირის რიგებში 14 წლის ასაკიდან.

ლენინს უარი უთხრეს საზღვარგარეთ წასვლასა და სწავლის იქ გაგრძელების თხოვნაზეც და ფიშერის აზრით, ალბათ სწორედ ამან მოახდინა გადამწყვეტი გავლენა მის შემდგომ ბიოგრაფიაზე. კაცს, რომელსაც სურდა ყოფილიყო ყველგან და ყველაფერში პირველი – დასძენს ფიშერი–რომ ამის ნიჭი და ენერგია გააჩნდა, ყოველნაირად გზას უკეტავდნენ თავისი ძმის გამო და საშუალებას არ აძლევდნენ რაიმესათვის მიეღწია ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომ მიეტმასნა იგი მარქსისტებს და დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ლენინმა უკვე იცოდა, რომ მოახდენდა ოქტომბრის გადატრიალებას, რომ მონარქიულ მთავრობას შეცვლიდა მისი დიქტატურა, რომ მისი ბრძანებით დახვრეტდნენ მეფის ოჯახს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ ულიანოვს წარმოუდგენლად მიაჩნდა სახელმწიფო გადატრიალება მის გარეშე. სწორედაც, რომ ზიზღი იმ სისტემის მიმართ, რომელიც ყველგან ულობავდა მას გზას თავისი პირადი კარიერისტული მიზნების განხორციელებაში, იყო მიზეზი იმისა, რომ ლენინი მარქსისტი გახდა–ასკვნის ფიშერი.

და მართლაც, კიდევ ერთხელ ისმის კითხვა–რას ეძებდა ეს მიზანდასახული ადამიანი რევოლუციაში? ხალხის ბედნიერება სურდა?

არა, ის ეძებდა დიქტატურას. თავიდან " რევოლუციურ- დემოკრატიულ დიქტატურას" მუშებისას და გლეხებისას, შემდეგ კი მხოლოდ "პროლეტარიატის დიქტატურას".

სწორედ ეს იყო მისი "მიღწევა" რითაც მან "გაამდიდრა" მარქსიზმი.

აი რას ამბობდა სტალინი: "ლენინიზმი არის მარქსიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციისა, უფრო სწორად: ლენინიზმი არის თეორია და ტაქ[illegible]პროლეტარული რევოლუციისა საერთოდ; განსაკუთრებით თეორია და ტაქტიკა პროლეტარული დიქტატურისა ( Сталин И. В. Сочинения т.6. М. 1952г. ст.71)

ე.ი. თუ მარქსიზმი არის საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების შემსწავლელი მეცნიერება, ლენინიზმი ყოფილა მეცნიერება "პროლეტარული დიქტატურის" დამყარების შესახებ.

ლენინისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საკითხი ძალაუფლების შესახებ: " საკითხი ძალაუფლების შესახებ მთავარია რევოლუციაში" – ამტკიცებდა იგი.

ამიტომაც გააოგნა ის ოქტომბრის გადატრიალებამ. აი რას ეუბნება ლენინი ტროცკის: "იცით დევნისა და იატაკქვეშეთის შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლა...Es(Schwindelt) /თავბრუ მეხვევა/ "./Leo Trotski Mu life. New-Jork. 1930 P 337./

როგორ იმოქმედა ხელისუფლების სათავეში მოსვლამ მასზე, კარგად გადმოგვცემს გორკი: "ლენინი და ტროცკი და მათი თანმხლებნი უკვე მოიწამლნენ ხელისუფლების დამპალი შხამით, რასაც მოწმობს მათი სასირცხვილო დამოკიდებულება თავისუფალი სიტყვისადმი. პიროვნების და იმ უფლებებისადმი, რისთვისაც იბრძოდა დემოკრატია (М. Горький. Несвоевременные мысли. статьи 1917 – 1918г. Paris: Editions de la Seine 1971).

როგორც ფანატიკოსი მარქსისტი ანჟელა ბალაბანოვა წერს თავის მოგონებებში, ემიგრაციაში ყოფნის დროს ერთხელ მან ჰკითხა ლენინს: თუ რატომ "ადანაშაულებს ის ღალატში ყველა თავდადებულ პატიოსან რევოლუციონერს."

"ცოტა არ იყოს უკმაყოფილომ მან მიპასუხა, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ყველა ხერხი მისაღებიაო.-ტყუილიც? -ვკითხე მე.

-ყველა ხერხი გამართლებულია, თუ ის გამოიყენება პროლეტარული რევოლუციის ინტერესებისათვის ". (A.Balabanoff. Lenin. Psychologische Beobactungen und Betrachtungen. Hannover. 1963. S. 13-14./. "პროლეტარულ რევოლუციაში " კი ის გულისხმობდა, როგორც ხვდებით, თავის მოსვლას ხელისუფლების სათავეში.

ლენინისათვის ოქტომბრის გადატრიალებამდე უცხო არ იყო ისეთი მეთოდებიც, როგორიცაა ფიზიკური ძალადობისაკენ წაქეზება.

1963 წელს აღმოჩენილი ბოლშევიკური ცკ-ს 1917 წლის 3 სექტემბრის რიცხვით დათარიღებული დოკუმენტების მიხედვით, ლენინის წერილში, რომელიც მისწერა ცკ- ს " კორნილოვშჩინას " წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ჯარისკაცების შესახებ ვკითხულობთ: "წაახალისეთ ისინი გენერლებისა და ოფიცრების საცემად, რომლებიც კორნილოვს უჭერენ მხარს".

საბჭოების მეორე ყრილობამ მიიღო დეკრეტები მშვიდობისა და მიწის შესახებ; აგრეთვე გაუქმებულ იქნა სიკვდილით დასჯა. ამ ბოლო დეკრეტმა ძალიან გაანაწყენა ილიჩი; აი როგორ იხსენებს ამ ამბავს ტროცკი:

—"ეს უგუნურებაა"–გაიმეორა მან–"როგორ მოვახდინოთ რევოლუციას დახვრეტების გარეშე?"... მან წინადადება წამოაყენა დეკრეტის გაუქმების შესახებ...–და არ მოისვენა იქამდე, სანამ არ მიიღეს სოლომონისეული გადაწყვეტილება: "დეკრეტი არ გაუქმდეს, მაგრამ "მიმართონ დახვრეტებს როდესაც სხვა გზა არ არის". /L. Trotsky. Lenin. New-York. 1925 PP/33-34./

კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოლშევიკებს უმეტეს შემთხვევაში "მართლაც არ ჰქონდათ" სხვა გზა, გარდა დახვრეტებისა. სწორედ ამისათვის იყო შექმნილი ლენინის მითითებით ВЧК.

სიკვდილით დასჯის შესახებ ლენინს თავისი მოსაზრებები ჰქონდა: "ამხ. კურსკი! მე მგონი უნდა გაიზარდოს დახვრეტების რაოდენობა." /Ленин. ПGC т.45 ст 180;/

ეს მართლაც ლენინური აზრი გამოქვეყნდა ჟურნალ " ბოლშევიკში" მართლაც საჭირო დროს, 1937 წელს.

ლენინი ერთი კალმის მოსმით სწყვეტდა ადამიანთა ბედს. აი როგორ გადაწყვიტა მან კოლჩაკის ბედი ისე, რომ თვითონ არაფერში არ გარეულიყო.

"შიფრით. სკლიანსკის! გაუგზავნეთ სმირნოვს!

არ გაავრცელოთ არავითარი ცნობა კოლჩაკზე, არ დაბეჭდოთ აბსოლუტურად არაფერი. მხოლოდ ირკუტსკის დაკავების შემდეგ გამოგზავნეთ მკაცრად ოფიციალური დეპეშა ახსნა-განმარტებით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს მოსვლამდე მოიქცა ასე და ასე კაპელის მუქარის გამო ირკუტსკში.

ლენინი. ხელმოწერა შიფრით.

გააკეთებთ თუ არა საიმედოდ?... იანვარი, 1920 წ."/The Trotsky Paris. 1971. P. 80./. და გააკეთეს კიდეც საიმედოდ — 1920 წლის თებერვალში კოლჩაკი დახვრიტეს. /შენიშვნა: კაპელი მეთაურობდა ერთ-ერთ დიდ თეთრგვარდიულ შენაერთს აღმოსავლეთ ციმბირში/.

1918 წლის თებერვალს შიმშილობის დროს, ლენინის მიერ დაწერილი მითითებიდან:

"მათ ვინც არ მუშაობს ტრანსპორტზე შეუმცირეთ პურის ნორმა; გაუდიდეთ მათ, ვინც მუშაობს.

დაიღუპონ ათასები მაგრამ ქვეყანას გადავარჩენთ"./Ibid. Vol.I. P. 22./

"სმილგასა და ორჯონიკიძეს. ჩვენ ყელამდე გვჭირდება ნავთობი. მოიფიქრეთ მანიფესტი მოსახლეობისადმი, რომ ჩვენ ყელს გამოვჭრით ყველას, ვინც დაწვავს ან გააფუჭებს ნავთობს და ნავთობის საბადოებს, და პირიქით-ვაჩუქებთ ყველას სიცოცხლეს თუ მაიკოპს და განსაკუთრებით გროზნოს გადმოგვცემენ დაუზიანებლად:"/Ibid. Vol.I. P.80./

როგორც ხვდებით ეს ეხება არა ბოროტმოქმედთა ბანდას, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას, რომელთაც პირობითად სჩუქნის სიცოცხლეს.

ბალაბანოვამ, უკრაინის საგარეო საქმეთა სახკომისარმა შეიტყო, რომ მარჟინსკის [illegible] ჩკ-ს პროვოკატორი, რომელმაც ხალხს თავი გააცნო საზღვარგარეთის ელჩად, ჰყიდდა პასპორტებს მათზე, ვისაც საზღვარგარეთ სურდა წასვლა და გადასცემდა მათ გვარებს ჩკ-ში, სადაც შემდგომ ამ უკანასკნელთ ხვრეტდნენ; ამ ფაქტით აღშფოთებულმა სახკომისარმა პრეტენზია გამოთქვა, რომ შეეწყვეტინა მსგავსი მოქმედება, ამის საპასუხოდ ლენინი სწერს მოსკოვიდან:

"ამხ. ბალაბანოვა, როდის " ისწავლით ცხოვრების შეცნობას?" /A.Balabanoff. OP. cit. S. 68./

ეს რაც შეეხება ლენინის მითითებებს იმ ხალხების მიმართ, ვინც მოექცა ტირანიის მარწუხებში. როგორ ექცეოდა იგი მათ ვინც თავი დააღწია ბოლშევიზმს და ეხმარებოდა სხვადასხვა "კონტრრევოლუციურ" ძალებს?

ლენინის საკუთარ ჩანაწერებში ვკითხულობთ:

"შეეცადეთ დასაჯოთ ესტლანდია და ლატვია სამხედრო მეთოდებით /მაგალითად, გადადით სადმე საზღვარზე 1-2 ვერსტით და ჩამოახრჩვეთ 100-1000-მდე იქაური ჩინოვნიკი და მემამულე"/ /A. Balabanoff, OP. cit. S. 68./

სხვა ჩანაწერებში საუბარია უკვე პოლონეთზე:

"მშვენიერი გეგმაა. დაამუშავეთ ძერჟინსკისთან ერთად.

ვითომცდა " მწვანეების " სახით, /შემდეგ მათ დავაბრალებთ/ გავივლით 10-20 ვერსტს ტერიტორიის სიღრმეში და ჩამოვახრჩობთ იქაურ კულაკებს, მღვდლებს, მემამულეებს. ყოველი ჩამოხრჩობილისათვის პრემიის სახით 100.000 მან."/Ibid P. 278./

მკითხველს შეიძლება დაებადოს აზრი, რომ სამოქალაქო ომს და საერთოდ ომს თავისი დაუწერელი კანონები აქვსო. კი ბატონო, ვნახოთ ლენინის "მოღვაწეობა" ე.წ. მშვიდობიან პერიოდში, 1922 წელს.

რსფსრ-ს იუსტიციის სახკომისარმა კურსკიმ გაუგზავნა ლენინს კანონი პროექტის სახით სისხლის სამართლის კოდექსისათვის.

"მუხლი 5. შემდგომში შესაბამისი გარემოებების დადგომამდე, რომლის დროსაც გარანტირებული იქნება საბჭოთა ხელისუფლება კონტრრევოლუციური ძალადობისაგან, რევოლუციური ტრიბუნალით სასჯელის უმაღლესი ზომა დანაშაულისათვის, გამოყენებული იქნება შემდეგი მუხლების გათვალისწინებით: 58, 59, 60, 61, 62, 63,-64 – სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით."

ილიჩს კი შეაქვს შემდეგი შესწორებები: 'დაემატოს 64 და 65, 66 და 67, 68 და 69."/Ленин. т.45 ст. 189./

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება ის, თუ ვინ არის ავტორი განთქმული 58 მუხლისა რომლითაც 70 წლის საბჭოური ისტორიის მანძილზე მილიონობით ადამიანი იქნა გადასახლებული და დახვრეტილი ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში. აი მისი ავტორიც:

" 17. 5. 1922

ამხ. კურსკი! ჩვენი საუბრის დამატებით გიგზავნით მონახაზს დამატებითი პარაგრაფისას სისხლის სამართლის კოდექსისათვის. ეს მონახაზი შავადაა გაკეთებული და რა თქმა უნდა საჭიროებს გადამუშავებასა და გადაკეთებას. ძირითადი აზრი, იმედია ნათელია, მიუხედავად მონახაზის შავი ნამუშევრისა, ღიად წარმოვადგინოთ პრინციპიალური და პოლიტიკურად გამართლებული /და არა მარტო ვიწრო-იურიდიულად/ დებულება, რომელშიც მოტივირებულია იდეა ტერორის გამართლებისა, მისი აუცილებლობა, მისი საზღვრები.

სასამართლომ არ უნდა გააუქმოს ტერორი. ამის შეპირება იქნებოდა სიცრუე ან თავის მოტყუება. მისი დაკანონება კი პრინციპიალურია, რა თქმა უნდა შელამაზების გარეშე მისი ფორმულირება საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ, რამეთუ მხოლოდ რევოლუციურ მართლშეგნებას და რევოლუციურ სინდისს შეუძლიათ დასვან ამ მუხლების გამოყენების პირობები პრაქტიკაში.

კომუნისტური მოკითხვით

ლენინი..."

(В.И. Ленин. ППС. т.45 ст.189).

აი," ჩვენი "ავტორიც, "ჩვენი " ლენინი, "პროლეტარიატის ბელადი", რომელმაც მილიონობით თავისუფლების მოყვარე ხალხი მონობაში მოაქცია და რომლის პორტრეტსაც კომპარტიის მანდატთან ერთად 380 ათასამდე ქართველიც ატარებს უბის ჯიბეში იმ იმედით, რომ "ЛЕНИН ЖЫЛ, ЛЕНИН ЖЫВ, ЛЕНИН БУДЕТ ЖЫТЪ.



გაზეთ "დემოკრატის" რედაქცია "ღრმა მწუხარებით" იუწყება, რომ ქ. რუსთავში, მიმდინარე წლის 7 მარტს, გვიან ღამით, გაასვენეს საბჭოთა იმპერიის მამამთავრის ვ. ი. ლენინის ძეგლი და სამძიმარს უცხადებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქტუალური თემა



# ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს

## ინტერვიუ აქტუალურ თემაზე

ამ და სხვა რუბრიკებით, ალტერნატიულ გვერდზე, ჩვენ რეგულარულად შემოგთავაზებთ ინტერვიუს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ლიდერებთან; აგრეთვე, საზოგადო მოღვაწეებთან, ეკონომისტებთან, იურისტებთან და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოზიციები რადიკალურად განსხვავდება რიგი პარტიებისა და ორგანიზაციებისაგან, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ ალტერნატიულ გვერდზე დაბეჭდილი სტატიები საშუალებას მისცემს მკითხველს თავად გაარჩიოს მართალი და მცდარი პოზიცია; რადიკალურ-ოპოზიციურ პარტიებს დაუჭიროს მხარი თუ პროკომუნისტურ ძალებს.

დღეს, როდესაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა, როდესაც განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასები ჩაებნენ, გვერდზე დგომა და პასიურობა ღალატის ტოლფასია. ბოლოსდაბოლოს უნდა გაირკვეს არა მარტო პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, არამედ, ყოველი ჩვენგანის პირადი პოზიციაც.

ამრიგად, დღეიდან ვიწყებთ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ლიდერებისა და აგრეთვე, იმ ხალხის მოსაზრებების პუბლიკაციას, რომელთაც ჭეშმარიტად აღელვებთ საქართველოს ბედ-იღბალი. ითვალისწინებს რა, იმ ფაქტს, რომ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობაზე ყველას თავისი პარტიული თუ პირადი პოზიცია გააჩნია, რედაქცია პასუხისმგებლობას იხსნის ალტერნატიულ გვერდში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე.

დღეს გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა გოგი ტალახაძემ მოამზადა. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა და სხვა პრობლემების შესახებ გვესაუბრება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია.

პირველი კითხვაც ტრადიციულია: **როგორი პოლიტიკური ვითარებაა ამჟამად საქართველოში?**

— დღევანდელი პოლიტიკური ვითარება საქართველოში რთულია, მაგრამ პესიმიზმის არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რადგან საკმარისია თვალი გადავავლოთ იმპერიის სხვა, ე.წ. რესპუბლიკებში მიმდინარე მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ არცთუ ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა გაცილებით უფრო სწორ პოზიციებზე დგას გაცილებით უფრო მძლავრია, ვიდრე, თუნდაც ლიტვის განმათავისუფლებელი მოძრაობა; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ეროვნული მოძრაობის ცალმხრივად შეფასება, რადგან არის ისეთი მომენტები რომლებიც მხოლოდ სიკეთეს მოუტანენ ქართველ ერს და არის მომენტები, რომლებიც სასურველია, რომ **მომავალში აღარ განმეორდნენ. დღეს პირველ ყოვლისა საჭიროა ეროვნული მოძრაობის გაწმენდა, აუცილებელია რომ, რაიმე კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით შექმნილი პარტია დაიშალოს და ეს ასეც მოხდება, რადგან ეს ბუნებრივი პროცესია;** საბოლოო ჯამში დარჩება რამოდენიმე ძლიერი პარტია, რომლებიც არა კონკრეტული მოვლენის, არამედ მოვლენათა მთელი სისტემის, ანუ კო-[illegible] შექმნილი და საზოგადოებრივი აზროვნების გარკვეულ მიმართულებას გამოხატავენ. ხოლო პარტია, რომელიც ერის ინტელექტუალური ცხოვრების ამა თუ იმ მიმართულებას არ გამოხატავს, დასაღუპად განწირული და უპერსპექტივოა. არჩევნების პერიოდში ასეთ პარტიას არავინ არ აირჩევს და მას დარჩება ერთად-ერთი, ბოლშევიკური გამოსავალი; ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბოლშევიკები საზოგადოებრივი აზროვნების არცერთ მიმართულებას არ გამოხატავდნენ, ეს იყო ავანტურისტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ჯგუფი, რომელმაც მას შემდეგ, რაც დამფუძნებელ კრებაზე თვით ჩამორჩენილმა რუსეთმაც კი უფრო პროგრესულ პარტიებს მისცა ხმა – მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია. ასე, რომ მსგავსი ტიპის პარტიებს, მხოლოდ, ამდაგვარი გამოსავალი რჩებათ.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის შემდგომ პოლიტიზაციას, ავღნიშნავ, რომ ეს არ გახლავთ ის რასაც ბოლშევიკები აკეთებდნენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში – ყველაფრის იდეოლოგიზაცია. პოლიტიზაციაში მე ვგულისხმობ იმას, რომ დღეს ქართველი ხალხის უმეტეს ნაწილში მოჭარბებულმა პატრიოტულმა გრძნობებმა ჰპოვონ მტკიცე საყრდენი და ერთ, პოლიტიკურ ყალიბში ჩამოესხას, მარტო ეროვნულობა, მარტო პატრიოტიზმი არაფერს ნიშნავს; ყოველივე ეს უბრალოდ უნდა იყოს ბაზისი ჩვენი შემდგომი ქმედებისა; ასე რომ, ამჯერად ჩვენ სუფთა პოლიტიკური სამუშაო გვაქვს გასაკეთებელი. სხვათა შორის, ეს სუფთა პოლიტიკური სამუშაო შავი სამუშაოა.

● **მოგეხსენებათ, კარზეა მომდგარი ეგრეთ წოდებული უზენაესი საბჭოს არჩევნები; ოპოზიციური პარტიები და მათ შორის თქვენიც, ბოიკოტს უცხადებენ საბჭოთა არჩევნებს საქართველოში. თუ შეიძლება გვითხარით, რამ გამოიწვია ბოიკოტის აუცილებლობა და როგორ აპირებთ მის განხორციელებას?**

— დავიწყოთ იმით, რომ ბოიკოტი გახლავთ ეროვნული, მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოს ოპოზიციამ. "ჩვენი" დღევანდელი მთავრობა, საქართველოს 1921 წლის ანექსიის შემდგომ დამკვიდრდა და ის ვერასოდეს ვერ იქნება ქართველი ერის ნების გამომხატველი, რადგან უკანონოა. ესეც არ იყოს ერთპარტიული დიქტატურის პირობებში ყოველგვარ პარლამენტზე საუბარიც კი ზედმეტია. როგორი კარგი დეპუტატებიც არ უნდა ავირჩიოთ /როგორც ამას სახალხო ფრონტი გვიქადაგებს/, თუ მრავალპარტიული სისტემა არ იარსებებს და თუ პარტიული ფრაქციები არ იქნება წარმოდგენილი პარლამენტში, მაშინ ჩვენ უაზრო ილუზიებით მოვიტყუებთ თავს და მეტი არაფერი, რადგან ერთპარტიული პარლამენტი არ არსებობს. ასე რომ ოპოზიციური პარტიები ბოიკოტს ვუცხადებთ საბჭოთა არჩევნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩვენს პარტიას, ისე ზოგიერთ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც მიაჩნია, რომ საქართველოში მარტო დაშლის პროცესებს – არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საფუძველი ჩავუყაროთ დამოუკიდებელ საქართველოში არსებულ ალტერნატიულ სტრუქტურებს, რომლებიც შემდგომში სრულყოფილ, ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებენ. ჩვენი მიზანია აირჩეს, ეროვნული სათათბირო ანუ პარლამენტი, რომელშიც გაერთიანდებიან ყველა წამყვანი პოლიტიკური პარტიები და აგრეთვე, უპარტიოები, რომლებიც გარკვეულ რეგიონში მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავენ და იცავენ მათ. ასეთ პარლამენტს ექნება, როგორც იურიდიული ისე – მორალური და ზნეობრივი უფლება ილაპარაკოს სრულიად საქართველოს, მთელი ქართველი ერის სახელით.

● **როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს, ბოლშევიკური პარტია ერთგვარ ფერისცვალებას განიცდის. იმპერიული ძალები ყველა ღონეს ხმარობენ რათა სხვა მხრივ წარმოაჩინონ თავი საზოგადოების წინაშე. ამისათვის ისინი მზად არიან კონსტიტუციიდან ამოიღონ მე-6 მუხლიც კი. თუ ეს მართლა ასე მოხდა, მაშინ რას მოიმოქმედებთ, ბრძოლის როგორ ხერხს მიმართავთ?**

— ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ჩვენი პარტია აპირებს სპეციალური კონფერენციის მოწვევას, რომელზეც ერთადერთი საკითხი განიხილება: კერძოდ, ის თუ რა უნდა მოიმოქმედოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ იმ შემთხვევაში თუ დაშვებული იქნა მრავალპარტიული არჩევნები? ვნახოთ, ჯერჯერობით ჩვენი პარტია არავითარ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე არ მისულა. მე პირადად ჩემს აზრს მოგახსენებთ: ბოლშევიკების ნდობა რაღა თქმა უნდა არ შეიძლება, ეს აზრი 70 წლის განმავლობაში არაერთგზის დამტკიცდა, მაგრამ მათ უკვე დაიწყეს იმ სტრუქტურების ხელყოფა, რომლებიც წმიდათა-წმინდა იყო მათთვის, ღმერთმა მაპატიოს ასეთი შედარებისთვის, მაგრამ მე-6 მუხლი დაახლოებით იგივე ფუნქციებს ასრულებდა იმპერიის სტრუქტურაში, რა ფუნქციებსაც საკურთხეველი ასრულებს ეკლესიაში. ფაქტიურად იმპერია მე-6 მუხლზე იყო დაფუძნებული, მაგრამ ამ მუხლის ამოღება ბოლშევიკებს კარგი ცხოვრების გამო არ გადაუწყვეტიათ. უბრალოდ მათ უჭირთ და იძულებულნი არიან ყოველგვარ კომპრომისზე წავიდნენ. მათ დაინახეს რომ აღმოსავლეთ ევროპაში ფაქტიურად ხელისუფლება დაკარგული ჰქონდათ. ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და უნგრეთში სოციალიზმი აღარ არსებობდა და ძალაუფლება ფაქტიურად საოკუპაციო არმიის ხიშტებს იმყარებოდა. იმპერიამ დაინახა, აგრეთვე რომ რეალურად საბჭოთა ხელისუფლება შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ბალტიისპირეთსა და საქართველოში. ამასთან, დღეს უკვე სომხეთსა და აზერბაიჯანზეც შეიძლება ამგვარი საუბარი. მიუხედავად ამისა თუ იმპერიის მასშტაბით ვილაპარაკებთ დავრწმუნდებით, რომ ჩემს მიერ ჩამოთვლილი რესპუბლიკების ხვედრითი წილი ე.წ. საბჭოეთში მიმდინარე პროცესებში საკმაოდ მცირეა და ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ კრემლი მიმართავს დროის მოგების ტაქტიკას. ამიტომ თმობს ის საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიასა და ბალტიისპირეთში იურიდიულადაც კი. კომუნისტებს შესანიშნავად ესმით, რომ რუსეთში რეაქციული ძალები გაცილებით უფრო მძლავრნი არიან ვიდრე დემოკრატიული ძალები და რომ ამ უკანასკნელთ მრავალპარტიული არჩევნების შემთხვევაშიც კი მხოლოდ კანდიდატთა უმნიშვნელო რაოდენობის შეყვანა თუ შეუძლიათ, პარლამენტში, მაშინ როდესაც საქართველოში ოპოზიციურ ძალებს შეუძლიათ ისეთი პარლამენტის არჩევა, რომელშიც ვერცერთი კომუნისტი ვერ მოხვდება. ასე რომ მრავალპარტიული სისტემა თუ დაუშვეს, ჩვენ გვეძლევა საქართველოში ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და ეროვნული სათათბიროს შექმნის საშუალება; / აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტების მიერ პოზიციების დათმობა, მათი კეთილი ნების გამოხატულება კი არ არის, უბრალოდ, კრემლი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ოპოზიციური ძალების მიერ დაწყებულ უკომპრომისო ბრძოლას/.

მრავალპარტიული სისტემის პრინციპებით არჩეულმა სათათბირომ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საკავშირო უმაღლეს საბჭოსა და საკავშირო ყრილობებში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ამით ჩვენ ვცნობთ საოკუპაციო ხელისუფლების კანონიერებას საქართველოში.

ამრიგად, თუ მრავალპარტიული სისტემა იქნა დაშვებული, ჩემი აზრით ჩვენ უნდა მივიღოთ მასში მონაწილეობა. ეს მოვლენა განმანთავისუფლებელი ბრძოლის პირველ ეტაპზე უნდა გამოვიყენოთ, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ინსტრუმენტი. ამ აზრზე ვარ მე და ვეცდები, რომ ეს აზრი გავიდეს ჩვენს მიერ დაგეგმილ კონფერენციაზე.

● **დღეს რამდენადაც ვიცით კომუნისტები ეკონომიკის გაძლიერებაზე ამახვილებენ ძირითადად ყურადღებას. მიმდინარეობს ხელშეკრულებების დადება საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებთან და ხალხსაც სულ იმას უქადაგებენ, რომ საკმარისია ეკონომიკურად მოვძლიერდეთ, რომ ყველაფერს ეშველება, კარგად ვიცხოვრებთ.**

**თქვენი აზრით, რას მოუტანს საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, საბჭოთა ეკონომიკის გაძლიერება?**

— ღმერთმა არ ქნას, რომ კომუნისტებმა ეკონომიკის გაძლიერება შეძლონ. ყველაფერი პრიმიტიულ დონეზე, ერთ საკითხზე რომ დავიყვანოთ დავინახავთ, რომ ეს საკითხი არის ეკონომიკა. ვინაიდან საბჭოეთი ეკონომიკური კრახის წინაშე დგას, კრემლი იძულებულია გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, რათა იმპერია მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც გადაარჩინოს.

რა თქმა უნდა მიმდინარე მოვლენებში სავსებით არ გამოირიცხება ოპოზიციური ძალების როლი, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ იმპერიაში მიმდინარე პროცესებში ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის ხვედრითი წონა საკმაოდ მცირეა. აქ არის უზარმაზარი რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი და სხვა. ეს რეგიონები ფაქტიურად "მკვდარი" რეგიონებია. ასე, რომ ძირითადი დათმობები მათმა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია და საკმარისია იმპერიამ შესძლოს ეკონომიკური კატასტროფის, თავიდან აცილება და მოძლიერება, რომ დარწმუნებული ვარ ყველაფერზე უარს იტყვის და შეეცდება გაანადგუროს ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც დღეს არსებობენ ამა თუ იმ ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან ისევ დაიწყებს შეიარაღებას, ამ მხრივ დასავლეთსაც არ მოელის კარგი ბედი. თავის მხრივ დასავლეთსაც შეგნებული აქვს თუ რა რეალური შედეგები შეიძლება, რომ მოჰყვეს საბჭოთა იმპერიის გაძლიერებას და იმდენ ვალუტას აძლევს საბჭოეთს, რომ შიმშილით არ მოკვდეს. ასე რომ იმედი მაქვს, რომ კომუნისტები ვერ შესძლებენ საბჭოთა ეკონომიკის ფეხზე დაყენებას.

თუ ბოლშევიკებმა უარი განაცხადეს საკუთრების სოციალისტურ ფორმაზე და მიიღეს კერძო საკუთრების დასავლური ფორმა, მაშინ ეს იმის მანიშნებელი იქნება რომ მათ უარი თქვეს მარქსისტულ იდეოლოგიაზე, იმპერიაში უარი ითქვა იმპერიულ გეგმებზე...

● **როგორც ვიცით, დღეს სომხეთსა და აზერბაიჯანში საკმაოდ რთული ვითარებაა, რაც თავისებურ ზეგავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. არის თუ არა იმის რეალური საშიშროება, რომ იმპერია შეეცადოს იგივე მოვლენები განავითაროს საქართველოში?**

— რასაკვირველია ამის საშიშროება არის, მაგრამ ჩემი აზრით საქართველოში მათ არაფერი არ გამოუვათ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ფაქტიურად, შევძელით სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ლოკალიზება და არ დავუშვათ მისი გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე.

ჩვენ ვმუშაობთ იმ მექანიზმის შემუშავებაზე, რომელიც ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერებს თავიდან ააცილებს კრემლის მიერ ხელოვნურად გაჩაღებულ ეთნოკონფლიქტებს. ასე, რომ მე მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს.

● **როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, წარმოება-დაწესებულებებსა და რაიონებში ხალხთან უშუალო შეხვედრებმა და საუბრებმა საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. თქვენი აზრით, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის რა მნიშვნელობა ენიჭება ოპოზიციური პარტიების შეხვედრებს ხალხთან წარმოებებსა და რაიონებში? მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კომუნისტები და პროკომუნისტური ძალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავზე აუხვიონ ხალხს ცრუპატრიოტული იდეოლოგიით.**

— მე ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ვთქვი, რომ დროა აგიტაციიდან პროპაგანდაზე გადავიდეთ. ეს აუცილებელია, რადგან ის მინიმუმი უკვე მიიღო და გაიცნობიერა ხალხმა, რა მინიმუმიც ჩვენ აგიტაციით უნდა მიგვეწოდებინა მათთვის. ამჟამად, საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ სწორედ დარბაზულ ატმოსფეროსა და ხალხთან უშუალო შეხვედრების აუცილებლობას. ამისათვის ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა გამოვიყენოთ ოფიციოზის პრესაც და ტელევიზიაც.

ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი იდეების პროპაგანდა, რათა დავარწმუნოთ ხალხი ჩვენს სიმართლეში.

დღეს ხელისუფლებას სრული მონოპოლია გააჩნია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ პირველ პერიოდში თუ მთლიანად ვერ წავართვით ყოველ შემთხვევაში უნდა წავგლიჯოთ გარკვეული რაოდენობის ტელესაათები, დავათმობინოთ გვერდები გაზეთებში, რადგან ჩვენი თვითგამოცემა გამოდის 15 - 20 ათასი ტირაჟით მაშინ როდესაც მათი ყველაზე მცირეტირაჟიანი გაზეთიც კი 100000 ტირაჟით იბეჭდება.

მოკლედ იმის გარდა, რომ ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ოფიციოზი; ჩვენ სულ უფრო მჭიდრო კონტაქტები უნდა დავამყაროთ ხალხთან. მოვაწყოთ შეხვედრები, რომლის დროსაც უშუალო საუბარში ჩვენ პროპაგანდას გავუწევთ ჩვენს იდეებსა და შეხედულებებს, რათა ხალხს სწორი პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდეს. (20 თებერვალი 1990 წ.)

# საქართველო იმპერიის მესამე სახეობის პარიბჭესთან

/გაგრძელება.
დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე/

იმპერიის შექმნის გზების ძიება. "პერესტროიკა"! – ჯერ-ჯერობით ამაზე შეჩერდნენ. გორბაჩოვს დაეკისრა რუსეთის მაღალ ეკონომიკურ სიმაღლეებზე აყვანა იმპერიის დაუშლელად. ახალმა "მეფემ" რუსეთს ახალი ტიპის, "დემოკრატიზებული" იმპერიის კონცეფცია შესთავაზა, რომლის მიხედვითაც ლენინის, სტალინისა და მთელი მარქსისტული იდეოლოგიის სანაგვეზე გადაყრაც რომ გახდეს საჭირო, იმპერია შენარჩუნებული უნდა იქნას.

დღეს ბოლშევიკების დევიზია: ვერტიკალური მმართველობის სტრუქტურიდან – ჰორიზონტალური სტრუქტურისაკენ! – რუსულ პრესაში სულ უფრო ხშირად ადარებენ საბჭოთა "ფედერაციას" ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციულ სისტემას "ლიტერატურნაია გაზეტაში" სსრკ-ს 50-შტატად დაყოფის კონცეფციაც კი შემოგვთავაზეს.

დღეს სსრკ-ში სულ უფრო ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ ისინი თავის გადარჩენის პერსპექტივას მხოლოდ სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში ხედავენ.

რას აკეთებს ასეთ ვითარებაში რუსული დემოკრატიული მოძრაობა? გაჩნდა "შედარებით მცირე იმპერიების დაშლის" სახაროვისეული თეორია. სახალხო – შრომითი კავშირი (НТС) 1801 წლის საქართველოს ინკორპორაციას ნებაყოფლობით კავშირს ეძახის; დემოკრატიული კავშირი, (ДС) თავის პირველად ორგანიზაციებს ქმნის საქართველოსა და სხვა ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში /სოხუმში შექმნილია "ДС"-ის პირველადი ორგანიზაცია/. რა არის ეს?

იმედია, ჩვენი რუსი მეგობრები აზრის ასეთ განვითარებას რუსოფობიაში არ ჩამომართმევენ. თუ რუსული დემოკრატიული მოძრაობა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, არ აღიარებს საქართველოს/არა მხოლოდ საქართველოს/ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის და არა თვითგამორკვევის უფლებას, ჩვენდა სამწუხაროდ, მოგვიწევს ფრიად არასასიამოვნო დასკვნის გაკეთება: კერძოდ – გორბაჩოვისეული "დემოკრატიზებული" ჰორიზონტალური ტიპის იმპერიის იდეა მათთვისაც მეტ-ნაკლებად მისაღებია. იმედია, რომ ეს ასე არ არის დემოკრატიულმა კავშირმა სასწრაფოდ უნდა დაშალოს თავისი პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში. დროა, ჩვენმა რუსმა კოლეგებმა გაიგონ, რომ საქართველოს არ სჭირდება მესამეჯერ სახეცვლილი იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა. ჩვენ სუვერენიტეტის გაფართოვება კი არა, დამოუკიდებლობა გვინდა. გვჯერა, რომ რუსეთის დემოკრატიული ძალები სათანადო დასკვნებს ლი ძალები სათანადო დასკვნებს გააკეთებენ და ხელს აიღებენ მთელი ლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე. თუ არა და... არსებობს ერთი კარგი ქართული ანდაზა: "სულ ერთია მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლიო".

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპას, აღსანიშნავია, რომ აქ მიმდინარე მოვლენები სულაც არ გახლავთ რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდასახვის მაჩვენებელი. იმპერიას, ეკონომიკური და სხვა სახის კრიზისის გამო, მოუწია თავისი იდეების ლოკალიზაცია. მან ბევრი დათმო, რათა ყველაფერი არ დაეკარგა. გორბაჩოვი ცდილობს როგორმე მაინც შეინარჩუნოს "დიდი კომუნისტური სამშობლო". ჩვენი აზრით, რუსეთმა საბოლოოდ უნდა თქვას უარი იმპერიალისტურ-მესიანისტურ იდეაზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება გარანტია, რომ რუსეთში არ გაიმარჯვებს ბოლშევიკურისებური იდეოლოგია, ქვეყნის სათავეში არ მოვა "ლენინი, სტალინი, ბრეჟნევი..." რუსეთი მაშინ იქნება თავისუფალი, როცა სხვის ხარჯზე ბედნიერების შენებაზე იტყვის უარს. ვიდრე ეს ასე არ იქნება ჩვენ იძულებული ვართ ეჭვის თვალით ვუყუროთ ყველაფერს, რაც რუსეთში ხდება /იგულისხმება, როგორც ზემოდან მიმდინარე პროცესები, ასევე ქვემოდან განვითარებული მოვლენები/.

ამჯერად აქ დავამთავრებ წერილს და იმედს გამოვთქვამთ, რომ თავიანთ მოსაზრებებს მოგვაწვდიან ამ წერილში დასმული საკითხებით დაინტერესებული ადამიანები.

# ღია წერილი

დღეს, ე.წ. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პერიოდში, როდესაც საბჭოური ყოფიერების თითქმის ყველა სფეროში მიმდინარეობს დანგრევის პირას მისული კომუნისტური იმპერიის გადარჩენისაკენ მიმართული ყალბი "გარდაქმნა", ოფიციალური პრესაც ცდილობს ფეხი აუწყოს მიმდინარე პროცესებს და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს მკითხველის თვალში.

ამის ნათელი მაგალითია, საქართველოს კომპარტიის რუსთავის ქალაქკომისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს რუპორის – გაზეთ "სოციალისტური რუსთავის" ა/წ. 15 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ლ.მარტაშვილის წერილი "როცა დიალოგის გზას ვირჩევთ", რომელიც შეეხება ნ.ბარათაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში 8 თებერვალს მოწყობილი არაფორმალურ ორგანიზაციათა წევრების შეხვედრას ქალაქის მოსახლეობის ერთ ნაწილთან.

ეს ღონისძიება წერილში რატომღაც წარმოდგენილია როგორც"... ფორმალებისა და არაფორმალების სრულიად უხმაურო დაპირისპირება".

წერილში სასტიკად არის დამახინჯებული, საქართველოს დემოკრატიული პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-IV დასისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაციის პოზიცია უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით და ჩვენი ღრმა რწმენით იგი გამიზნულია რუსთავის მოსახლეობის დეზინფორმაციისათვის.

ჩვენი პოზიცია ასეთია – სრული ბოიკოტი საბჭოურ კონსტიტუციაზე დაყრდნობით შექმნილ უზენაეს საბჭოს "ეროვნული პარლამენტის" არჩევნებს! არც ერთმა ქართველმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა კომუნისტური რეჟიმის სიერ მოწყობილ ფსევდო-არჩევნებში.

სწორედ ეს პოზიცია იყო გატანილი 8 თებერვლის შეხვედრაზე. წერილის ავტორის აზრით კი "ყველა ქართველისათვის სანუკვარი და საღვთისო ამოცანის გადაწყვეტა, ბუნებრივია, უკავშირდება ეროვნულ პარლამენტში მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულთა არჩევას".

ჩვენი აზრით – არავითარი "ეროვნული პარლამენტი" დღეს არ არსებობს. იგი მხოლოდ კომუნისტური იმპერიის აღორძინებაზე მეოცნებეთა ფანტაზიის ნაყოფია. პარლამენტი მხოლოდ მაშინ იქნება ეროვნული, როდესაც იარსებებს ეროვნული კონსტიტუცია საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, გარანტირებული საერთაშორისო სამართალ-სუბიექტივიზმითა და დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური უფლებებით.

სიმართლე ასეთია – დღეს ქართველ ერს თავს მოახვიეს თავისი ახალი საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების არჩევა. ცხადია, რომ ამ პროცესს არაფერი აქვს საერთო არც საქართველოს დამოუკიდებლობასთან, არც რაიმე საღვთისო ამოცანების გადაწყვეტასთან.

ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ გაზეთ "სოციალისტური რუსთავის" რედაქციას ამგვარი დეზინფორმაციის გამოქვეყნებისათვის

საქართველოს დემოკრატიული პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია- IV დასის რუსთავის ფილიალი,
ქრისტიან-დემოკრატიული ახ.ასოციაციის რუსთავის რეგიონალური გან-ბა.

რედაქციისაგან: განუზომელია კომუნისტური საინფორმაციო საშუალებების როლი ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველი ერის [illegible] ჩაძირვაში ყოფნის საქმეში. ქართულენოვანი კომუნისტური პრესა და ტელევიზია ერთგულად ასრულებდა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლების აგიტატორისა და პროპაგანდისტის როლს.

ჩვენი ღრმა რწმენით, დღეს გაზეთ "სოციალისტური რუსთავის" არსებობაც კი დანაშაულია ერის წინაშე. დროა გონს მოეგონ მისი მესვეურები. რედაქცია უნდა დაიხუროს, რედაქციის კუთვნილი ინვენტარი და მატერიალური ფასეულობანი ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას და ამიტომ, იგი უნდა გადაეცეს საქართველოს მოსახლეობის ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებს – პოლიტიკური ორგანიზაციათა თვითგამოცემით რედაქციებს.

შენიშვნა: წერილი უკვე დასაბეჭდად იყო მზად, როდესაც შევიტყვეთ, რომ ქალბატონ ლ. მარტაშვილის სტატია თვითნებურად დაუმახინჯებია გაზეთ "სოციალისტური რუსთავის" რედაქტორს. ასეთი საქციელი არც პირველია და არც უკანასკნელი, საბჭოთა პრესის პრაქტიკაში.

გაზეთ "სოციალისტური რუსთავის" თანამშრომლებს მოვუწოდებთ, რომ შეწყვიტონ ამ სამარცხვინო ორგანოსთან თანამშრომლობა, დაადგნენ სიმართლის გზას, ჩადგნენ ქართველი ერის სამსახურში, ითანამშრომლონ მხოლოდ თვითგამოცემით გაზეთებთან!

# სხვადასხვა

● 6 თებერვალს, ქ. რუსთავში ქიმიკოსთა კულტურის სახლში მოეწყო ქიმიური ქარხნის მშრომელების შეხვედრა საქართველოს დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან.

გამომსვლელებმა: გია ჭანტურიამ თენგიზ შარმანაშვილმა, ვახტანგ ტალახაძემ და სხვებმა ისაუბრეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ; უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს. შეხვედრამ მაღალ დონეზე ჩაიარა.

● 15 თებერვალს გაიმართა შეხვედრა ქ. თბილისში ქარხანა ელექტროავტომატის თანამშრომლებთან. სდპ-ს წარმოადგენდნენ თ.შარმანაშვილი, გ.ჭყოიძე, მ. ქორბენაძე, მ.მაჭავარიანი, ვ. მურჯიკნელი.

შეხვედრა შედგა ქარხნის სააქტო დარბაზში.

● 18 თებერვალს სოფელ მუხრანის კლუბში გაიმართა საქართველოს დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს მონარქისტული პარტიის შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან. შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა, იყო კამათი. შეკრებილთ საქართველოს დემოკრატიული პარტიის პრინციპებსა და პოზიციებზე ელაპარაკა სდპ-ს მთ. კომიტეტის წევრი თენგიზ შარმანაშვილი.

● 1 მარტს ქ. რუსთავში № 2საერთო საცხოვრებელში შედგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდა სპეციალისტებთან. საქართველოს დემოკრატიული პარტიის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა. ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე მთავარი კომიტეტის წევრები: ვახტანგ ტალახაძე და თენგიზ შარმანაშვილი, რომლებმაც ისაუბრეს – სდპ-ს უახლოეს ამოცანებზე.

● 11 თებერვალს ქ. გორში ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის გორის რეგიონალური კომიტეტის დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდა სდპ-ს მთავარი კომიტეტის წევრი გიორგი ზუმბაძე.

# მიმართვა
## ქართველ ახალგაზრდობას

ამა წლის 5 თებერვალს შესდგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ასოციაციის დამფუძნებელი კრება.

კრებამ განიხილა და ხმათა უმრავლესობით მიიღო ასოციაციის წესდების პროექტი. გადაწყდა, რომ ასოციაცია იმოქმედებს სდპ-ს პოლიტიკური პროგრამის მიხედვით.

კრებამ კენჭისყრით აირჩია ასოციაციის დროებითი მმართველი ორგანო ხუთი კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარედ არჩეული იქნა სდპს მუდმივი წევრობის კანდიდატი ნ.სანადირაძე.

**სდპ ახალგაზრდული ასოციაცია დემოკრატიულ პარტიასთან ერთად იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.**

შეგახსენებთ, რომ სდპ ახალგაზრდული გაერთიანება არსებობდა დამოუკიდებელ საქართველოში და აქტიურ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფაქტიურად მოხდა დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული გაერთიანების აღდგენა და ჩვენ რომ ვიყოთ წინაპრების საქმის ღირსეული გამგრძელებლები, აუცილებელია ქართველი ახალგაზრდობის აქტიური მხარდაჭერა. დღეს საქართველოს მხოლოდ რადიკალიზმი **სჭირდება და ყოველი ჩვენთაგანი უნდა გაერთიანდეს რადიკალურ ორგანიზაციებში!**

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ასოციაციის – კარები ღიაა ყველა ჭეშმარიტი **ახალგაზრდა მამულიშვილისათვის.** გაუმარჯოს თავისუფალ, ქრისტიანულ საქართველოს!

მისამართი: ქ. თბილისი ლუსაფარსკის ქ. ბინა 2 მესამე სართული ტელ: 99-00-25.

ქ. რუსთავი არაყიშვილის ქ. 3-2 ტელ: 14-24-58.

ასოციაციის სახელით:
გ.ლამქარაშვილი, შ.ქოქოშვილი.

ახლახანს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, საპატიმროდან გაანთავისუფლეს აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დაცვის დარგში, ნელსონ მანდელა.

ეს ცნობა დიდი კმაყოფილებით აღიქვა მთელმა დემოკრატიულმა სამყარომ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიულოცა ნელსონ მანდელას გათავისუფლება და აშშ-ში მიიწვია. ნელსონ მანდელამ ვიზიტზე თანხმობა განაცხადა.

ნელსონ მანდელას განთავისუფლების ფაქტი საქართველოს დემოკრატიულმა მოძრაობამაც დიდი კმაყოფილებით აღიქვა. საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ იოჰანესბურგში შემდეგი შინაარსის დეპეშა გააგზავნა.

## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ქ. იოჰანესბურგი

## ნელსონ მანდელას!

ბატონო ნელსონ მანდელა! მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა თქვენი საპატიმროდან გათავისუფლების გამო, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ თქვენს ბრძოლას და გისურვებთ გამარჯვებას.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელით: თენგიზ შარმანაშვილი, ვაჟა მთავრიშვილი, ჯიმშერ ბედიანაშვილი.

# ოფიციალური ინფორმაცია

მიმდინარე წლის 3 მარტს შედგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მორიგი პლენარული სხდომა რომელმაც შეაფასა პარტიის მუშაობა განვლილ პერიოდში.

შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის პლენარულ სხდომაზე წამოყენებულ წინადადებებს პარტიის პროგრამასა და წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ და უახლოეს მომავალში, პარტიის დარბაზზე დასამტკიცებლად წარმოადგენს პროექტს პარტიის წესდებასა და პროგრამაში ცვლილებათა შესახებ. არჩეული იქნა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი სამი კაცის შემადგენლობით: თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე და ვასილ ჭყოიძე.

არჩეული იქნა, აგრეთვე სარევიზიო კომისია სამი კაცის შემადგენლობით; ვაჟა საგანელიძე, ზვიად ჭუბაბრია და მერაბ ბეგიაშვილი.

დაისახა პარტიის სამომავლო სამოქმედო გეგმები.

●

მიმდინარე წლის 11 მარტს, საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, მილიციის აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, დაიკავა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა.

● პატივცემულო, მკითხველებო!

გაზეთ "დემოკრატის" რედაქცია გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის აპრილის თვიდან, გაზეთი იწყებს საქველმოქმედო საქმიანობას.

გაზეთის მოგების 50% დახმარების სახით გადაეცემათ მრავალშვილიან, ახალგაზრდა, ქართულ ოჯახებს.

დემოკრატი

რედაქტორი
ჯიმშერ ბედიანაშვილი

სარედაქციო კოლეგია: თენგიზ შარმანაშვილი, გენადი უჩუმბეგაშვილი /პასუხისმგებელი მდივანი/, დავით მჭედლიძე, კობა მშვილდაძე.

მოგვწერეთ: ქ. რუსთავი არაყიშვილის 3 - 2
დაგვირეკეთ: 14 - 24 - 58

გაზეთი გამოდის არაპერიოდულად
ფასი 1 მანეთი